სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №23

ქ.ბათუმი

3 თებერვალი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მის დირექტორის თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი მერი გურგენიძე (შემდგომში ,,მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქობულეთის ტურისტული საინფორმაციო ცენტრიდან და მისი მიმდებარე ტერიტორიიდან დაგროვილი ნაგვის/ურბანული მყარი ნარჩენების მოგროვება და გატანა, კერძოდ: დიდთოვლობის შედეგად დამტვრეული ხეების ნარჩენების, სხვადასხვა ურბანული მყარი ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვება და გატანა, სერვისცენტრის და ტერიტორიის ნარჩენებისგან გაწმენდა/გასუფთავება.

1.2 კლასიფიკატორის კოდი: CPV 90500000 - ნარჩენებსა და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

3.1. მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდეგ, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

3.3. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის ქ.N 642-ში მდებარე ტურისტული საინფორმაციო ცენტრი და მისი მიმდებარე ტერიტორია.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება.

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარისხიანი და უნაკლო მომსახურება.

4.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად მოახდინოს გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ხელშეკრულების საერთო ღირებულება

5.1. გაწეულ მომსახურებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადი - საერთო ღირებულების 20 % .

5.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 225,00 (ორას ოცდახუთი) ლარს, რომელიც მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საშემოსავლო გადასახადს 45 (ორმოცდახუთი) ლარს.

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, მითითებული მიმწოდებლის რეკვიზიტებზე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

6.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 6.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

6.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების სმოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 20 მარტის ჩათვლით.

9. მხარეთა რეკვიზიტები და იურიდიული მისამართები:

ა(ა)იპ "ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო"	ფიზიკური პირი მერი გურგენიძე
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	მისამართი: ქობულეთი შ.რუსთაველის ქ. N 140 ბ. 29
საიდენტიფიკაციო კოდი: 445388054	პირადი N: 61004028527
სს "თიბისი ბანკი"	სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი – TBCBGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ნ – GE62TB7901736010100015	ა/ნ - GE82LB0711147741698000
დირექტორი	ფიზიკური პირი
_____ /თინათინ ზოიძე/ ბ.ა.	_____ /მერი გურგენიძე/ ბ.ა.